ფემიციდის პრევენცია და ეფექტიანი რეაგირება სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით

ანა ქობალია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი გოგა ხატიაშვილი

სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023 წელი

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ის წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ანა ქობალია

16 ივნისი 2023 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ფემიციდის არსი, ცნება, მისი გამომწვევი მიზეზები და პრევენციასთან და ეფექტიან რეაგირებასთან დაკავშირებული საკითხები. შეფასებულია სისხლისსამართლებრივი რეაგირების მექანიზმების ეფექტიანობა ფემიციდის თავიდან აცილებისა და ეფექტიანი რეაგირების საქმეში. იდენტიფიცირებულია ის პრობლემური საკითხები, რაც დაკავშირებულია ფემიციდის საქმეებთან, კერძოდ: ფემიციდის ნორმატიული განსაზღვრება, გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე არსებული ხარვეზები, დანაშაულის არასწორი კვალიფიკაცია, დანაშაულის მოტივის და წინარე ძალადობრივი ისტორიის გამოკვლევასთან დაკავშირებული საკითხები, სათანადო აღკვეთის ღონისძიებისა და სასჯელის გამოუყენებლობა.

კვლევის მიზანს წარმოადენს იმის შეფასება, არის თუ არა სისხლის სამართლის მექანიზმები ეფექტიანი და საკმარისი ფემიციდის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის. როგორც პრაქტიკაში ასევე, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გაანალიზება და გადაჭრის გზების ძიება. აღნიშნული თემა წლებია აქტუალურია, რაზეც მიუთითებს ფემიციდის მაღალი მაჩვენებელი[1] და რაც აიხსნება მძლავრი პატრიარქალური და დისკრიმინაციული ატმოსფეროთი.

კვლევის პროცესში განხორციელდა საქართველოში ფემიციდთან მიმართებით არსებული კანონმდებლობის და პრაქტიკის შეფასება. საერთაშორისო სტანდარტების მაგალითზე, მოცემულ დანაშაულთან მიმართებით მსოფლიოში არსებული ზოგადი დამოკიდებულების წარმოჩენა. გამოყენებულ იქნა ფემიციდის, როგორც საერთაშორისოდ აღიარებული პრობლემის, ყოველწლიური სტატისტიკური მაჩვენებელი, რამაც არაერთი ძირითადი ხარვეზი გამოკვეთა.

[1] საქართველოს გენერალური პროკურატურა, *ფემიციდის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური* ასპექტები *2014-2022* (თბილისი: 2022), 2. https://pog.gov.ge/uploads/df898345-femicidi-2022-The-POG-09-12-2022-PDF.pdf (08.06.2023).

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფემიციდის თავიდან აცილების მიზნით საქართველოში არსებული სისხლისსამართლებრივი მექანიზმები გარკვეულ შემთხვევებში სათანადოდ გამოიყენება. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც გამოძიება არაეფექტიანია. არსებულ მაგალითებზე დაყრდნობით, შესაბამისი ორგანოების მხრიდან, არ ხდება რისკების სათანადო შეფასება, გენდერული დისკრიმინაციის მოტივის გამოკვლევა, ქმედების სწორი კვალიფიკაცია, სათანადო სასჯელის გამოყენება და ფემიციდის პრევენციისთვის ყველა საჭირო ღონისძიების გატარება.

ნაშრომი ხელს უწყობს ფემიციდთან მიმართებით არსებული პრობლემების იდენტიფიკაციას და გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით ხარვეზების ნაწილობრივ აღმოფხვრას, რაც გაზრდის ქალების მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას და დანაშაულის რიცხვის შემცირებას.

საკვანძო სიტყვები: ფემიციდი, კვალიფიკაცია, სტანდარტი, პრევენცია, გამოძიება.

Abstract

The present work discusses the essence, concept, causes of femicide, and issues related to prevention and effective response. It is evaluated effectiveness of the mechanisms of criminal justice in preventing and effectively responding to femicide. The problematic issues related to femicide cases are presented, namely: statutory definition of femicide, gaps in the investigation and sentencing stage, mischaracterization of the crime, issues related to the investigation of the motive of the crime and previous violent history, failure to apply appropriate punishment and preventive measure.

The purpose of the research is to assess whether criminal justice mechanisms are effective and sufficient to prevent and respond to femicide. Both in practice and to analyze the gaps in the legislation and search for solutions, The above-mentioned topic has been relevant for years, which is indicated a high rate of femicide and what can be explained by a strong patriarchal and discriminatory atmosphere.

During the research process, the existing legislation and practice regarding femicide in Georgia were evaluated, On the example of international standards , presenting the general attitude in the world in relation to this crime, The use of annual statistical indicators of femicide, as an internationally recognized problem, revealed a number of major flaws.

As a result of the research, it was established that in order to prevent femicide, the use of existing criminal justice mechanisms in Georgia is properly implemented in certain cases. However, there are cases when the investigation is ineffective. Based on the existing examples, the appropriate authorities do not properly assess the risks, investigating the motive for gender discrimination, correctly qualify the action, apply the appropriate punishment, and take all necessary measures for the prevention of femicide.

The paper contributes to the identification of existing problems in relation to femicide and, taking into account the given recommendations, the elimination of the shortcomings to a certain extent, which will increase women's access to justice and reduce the number of crimes.

Keywords: femicide, qualification, standard, prevention, investigation.